ბრძანება:**ბ14. 14233317**
თარიღი:**27/11/2023**

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზებისათვის განმეორებითი უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ**

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზებისათვის უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 01 სექტემბრის №ბ14.14232445 ბრძანების საფუძველზე, სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს ელექტრონული აუქციონის ვებგვერდი - www.eauction.ge-ზე გამართულ უპირობო ელექტრონულ აუქციონზე საპრივატიზაციოდ ერთ ლოტად გამოტანილი იყო ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება 20 000 (ოცი ათასი) კვ.მ. მეორადი ბუნებრივი გრანიტის ქვაფენილი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 01 სექტემბრის №ბ14.14232445 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული ელექტრონული აუქციონი დასრულდა 2023 წლის 11 სექტემბერს 14:00 საათზე, ისე, რომ არ მომხდარა მითითებული ქონების განკარგვა. ვაჭრობის ნაწილში აუქციონი ჩაიშალა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 07 ნოემბრის №ბ14.142331113 ბრძანებით კი მოხდა ხსენებული ქონების განმეორებითი 20% ფასდაკლებით სამ ლოტად პრივატიზებისათვის (7000 კვ.მ, 7000 კვ.მ, და 6000 კვ.მ) აუქციონის გამოცხადება, საიდანაც განიკარგა 6000 კვ.მ მეორადი ბუნებრივი გრანიტის ქვაფენილი. ხოლო 7000 კვ.მ და 7000 კვ.მ ლოტებად გატანილი ქონების განკარგვის ვაჭრობის ნაწილში აუქციონი ჩაიშალა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 119-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, „თუ არ მოხდება აუქციონის ფორმით გამოტანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა, ამ ქონების შეცვლილი საწყისი საფასურით ან/და პირობებით, აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ გადაწყვეტილება განმეორებით აუქციონად ჩაითვლება“.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს ამ ეტაპზე მოძრავი ქონების ორ ლოტად (6000 კვ.მ და 6000 კვ.მ) პრივატიზებისათვის გამოცხადდეს განმეორებითი უპირობო ელეტრონული აუქციონი და მისი საწყისი საპრივატიზაციო საფასური შემცირდეს 20%-ით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის და 119-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების და მადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 აპრილის №37 დადგენილებისა და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულების (ცვლილება: განკარგულების (ცვლილება: განკარგულება №g-15.15222725, 29.09.2022წ ) შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

**1.** გამოცხადდეს განმეორებითი უპირობო ელექტრონული აუქციონი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - 12 000 (თორმეტი ათასი) კვ.მ. მეორადი ბუნებრივი გრანიტის ქვაფენილის ორ ლოტად პრივატიზებისათვის.

**2.** ბრძანების პირველი პუქტით განსაზღვრული მოძრავი ქონების ჯამში 12 000 კვ.მ მეორადი ბუნებრივი გრანიტის ქვაფენილის საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 384 000 (სამას ოთხმოცდაოთხი ათასი) ლარი ( 1კვ.მ (80 ცალი) - 32 ლარი)).

**3.** დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (მეორადი ბუნებრივი გრანიტის ქვაფენილი) ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია, თანახმად დანართისა.

**4.** ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს ელექტრონული აუქციონის ვებგვერდი www.eauction.ge-ს მეშვეობით.

**5.** დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური

ქონების და სერვისების მართვის სამსახურს უზრუნველყოს აუქციონის შესახებ განაცხადის განთავსება ვებგვერდზე: www.eauction.ge.

**6.** წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე: www.batumi.ge.

**7.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30) კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**8.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი